

## საქართველოს ორგანული კანონი

### „იმპინმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იმპინმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წელი - №46)) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

იმპინმენტი არის კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს დაღატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების წესი.“

2. მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე შეიძლება მოიწვიონ იმპინმენტის ინიციატორ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილი წარმომადგენელი და ის პირი, ან ამ პირის გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში - მისი წარმომადგენელი, ვისი იმპინმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხიცაა აღძრული, აგრეთვე, საქართველოს მთავარი პროკურორი, ექსპერტები, სპეციალისტები, მოწმეები და სხვა პირები.“

3. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავრობის წევრი, კონტროლის პალატის თავმჯდომარე ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი ჩაითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.